

საინვესტიციო პოლიტიკა და ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოება

მეგი გორგასლიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

INVESTMENT POLICY AND ECONOMIC SECURITY OF THE COUNTRY

Megi Gorgaslidze

Associate Professor, Department of Economics,
Akaki Tsereteli State University

ABSTRACT

Increasing the volume of investments is an urgent task for almost all countries, for which an attractive investment environment must be created. In order for this process to be successful, many things need to be taken into account, such as the assessment of the country's economic potential, legal arrangement, formation of the socio-political environment, assessment of the development of economic sectors and in general Studying the state of the real sector of the economy as a whole.

The correct implementation of the investment policy will contribute to the protection of the economic security of the country, because the investments made can have both a positive and a negative impact on the development of the economy. Be in the real sector of the country and not only in the hidden extraction of natural resources.

It is desirable that the investments should be directed entirely to the real sector of the country and the attracted foreign direct investment should be properly used and its agreement with the domestic investment market, which will result in the development of the economy.

Key words: investment, investment policy, economic security, real sector.

საკვანძო სიტყვები: ინვესტიცია, საინვესტიციო პოლიტიკა, ეკონომიკური უსაფრთხოება, რეალური სექტორი.

თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის პირობებში, ინვესტიციების განხორციელებას ნებისმიერი ქვეყნისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. მასზე დიდად არის დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკის მომავალი და ადგილი მსოფლიო ეკონომიკის სისტემაში.

ინვესტიციების მოცულობის გაზრდა თითქმის

ყველა ქვეყნისათვის გადაუდებელი ამოცანაა, რისთვისაც უნდა შეიქმნას მიმზიდველი საინვესტიციო გარემო. იმისათვის, რომ ეს პროცესი წარმატებული იყოს, ბევრი რამ არის გასათვალისწინებელი, როგორცაა ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის შეფასება, სამართლებრივი მოწყობა, სოციალურ-პოლიტიკური გარემოს ფორმირება, ეკონომიკის დარგების განვითარების შეფასება და საერთოდ, მთლიანად ეკონომიკის რეალური სექტორის მდგომარეობის შესწავლა.

ამ პროცესების სრულყოფის გარეშე, შეიძლება მოზიდული უცხოური ინვესტიციები, პირიქით, დამაბრკოლებელ ფაქტორად იქცეს ქვეყნისათვის, რადგან აუცილებელია და სასურველია უცხოური ინვესტიციები მიმართული იყოს ქვეყნის რეალურ სექტორსა და არა მხოლოდ ბუნებრივი რესურსების გამაღებელ მოპოვებაში.

ინვესტიციისათვის გადანაცვების მიღების პროცესს აადვილებს ჩვენს ქვეყანაში არსებული საგადასახადო კოდექსი და განხორციელებული ეკონომიკური რეფორმები, ასევე განსაკუთრებული გეოგრაფიული მდებარეობა.

საინვესტიციო პოლიტიკის სწორი წარმოება ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების დაცვას, რადგანაც განხორციელებულ ინვესტიციებს შეუძლიათ, როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი გავლენა მოახდინონ ეკონომიკის განვითარებაზე.

დადებითი საინვესტიციო შედეგები ვლინდება ისეთი მოვლენებით, რაც ინვესტს საწარმოო შესაძლებლობების და ფინანსური შემოსავლების ზრდას, ამაღლებს კონკურენციის დონეს, ინვესტს მაღალეფექტური ტექნოლოგიების და ადამიანური კაპიტალის განვითარებას, ტურიზმისა და ენერგო სისტემის განვითარებას, რაც ხელს უწყობს ქვეყნის ჩართვას საერთაშორისო ტურისტულ საზოგადოებაში და ასევე, ენერგოდამოუკიდებლობის ზრდას. ეს ყველაფერი დადებითად აისახება საერთოდ, რეალური სექტორის ზრდაზე ქვეყანაში.

გასათვალისწინებელია უცხოური ინვესტიციების უარყოფითი გავლენა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე, რასაც შედეგად მოჰყვება ადგილობრივი ინვესტიციების გამოძევება ეკონომიკური ბრუნვიდან, ადგილობრივი ბაზრების შეზღუდვა, ბაზარზე დომინირების სახით, ასევე არასახარბილო ეკოლოგიური ზემოქმედება ბუნებრივი რესურსების

ცხრილი 1.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წილობრივი მაჩვენებელი ქვეყნების მიხედვით, 2014-2023 წლები

	ქვეყნები	მაჩვენებლები
1	ევროკავშირის ქვეყნები	33 %
2	გაერთიანებული სამეფო	19 %
3	აზერბაიჯანი	15 %
4	თურქეთი	8 %
5	აშშ	7 %
6	რუსეთი	4 %
7	ჩინეთი	3 %
8	დანარჩენი ქვეყნები	11 %

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

ცხრილი 2.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წილობრივი მაჩვენებლები ეკონომიკის სექტორების მიხედვით, 2014-2023 წლები

	ეკონომიკის სექტორი	მაჩვენებელი
1	ტრანსპორტი	53 %
2	საფინანსო სექტორი	21 %
3	ენერგეტიკა	11 %
4	უძრავი ქონება	10 %
5	დამამუშავებელი მრეწველობა	10 %
6	მშენებლობა	7 %
7	სასტუმროები და რესტორნები	4 %
8	სამთომოპოვებითი მრეწველობა	3 %
9	ჯანდაცვის სექტორი	2 %
10	სოფლის მეურნეობა	1 %
11	დანარჩენი სექტორი	11 %

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

რსების გამაღებული მოპოვების გამო, რისთვისაც უნდა მოქმედებდეს ქვეყანაში ასეთი საქმიანობის დამარეგულირებელი კანონები.

უცხოური ინვესტიციები ინვეს ადგილობრივი ბიზნეს საქმიანობის შეზღუდვას და შევიწროებას, ძირითადად დაბალი ზღვრული დანახარჯების გამო. შიდა ბაზარზე ორიენტირებული უცხოური ბიზნესი ანადგურებს ადგილობრივ მცირე და საშუალო ბიზნესს. ეს კი ნებისმიერ ქვეყანას ძალიან ძვირი უჯდება - იზრდება უმუშევრობა, სიღატაკე და მძიმდება ეკოლოგიური მდგომარეობა. უარყოფითი შედეგები მნიშვნელოვნად აღემატება ინვესტიციებიდან მიღებულ შემოსავალს.

საქართველოში უცხოური კომპანიის უხეში ჩა-

რევის მაგალითია საყდრისის ფერადი ლითონების მომპოვებელი საწარმოს RMG GOLD - არასტადარტული საქმიანობა, რომელსაც შედეგად ათობით დარღვევაზე მეტი აქვს. „საყდრისის“ კომიტეტში აცხადებენ, რომ ბოლნისის რაიონში ეკოლოგიური მდგომარეობა შემაშფოთებელია, ხოლო გარემოზე მიყენებული ზარალი სავარაუდოდ, რამდენიმე ასეულ მილიონს აჭარბებს. (3) 2014-2016 წლების ინვესტიციების შედეგები გასაჯაროვდა, რომლის მიხედვითაც მომზადდა გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ დოკუმენტი, თუმცა ამ დოკუმენტს რადიკალური საპასუხო ქმედებები არ მოჰყოლია.

საინტერესოა საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინა-

მიკურო მაჩვენებლები ქვეყნებისა და ეკონომიკის სექტორების მიხედვით.

2024 წლის I კვარტლის მონაცემებით, ინვესტიციების კუთხით თურქეთი (21%) და ჩეხეთი (21%) ლიდერობენ. პირველ ათეულში რუსეთი საერთოდ ვერ მოხვდა, ხოლო ჩინეთის წილი მხოლოდ 7% იყო.

2024 წლის პირველ კვარტალში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 39% ენერგეტიკის სექტორზე მოდიოდა, ვაჭრობასა და ტრანსპორტზე კი 20-20 %, სოფლის მეურნეობა ეკონომიკის სექტორების ათეულშიც ვერ მოხვდა.

საქსტატის მონაცემებით, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2023 წელს 1 594.7 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 24.0 პროცენტით ნაკლებია 2022 წლის დაზუსტებულ მაჩვენებელზე. შემცირების გამომწვევ უმთავრეს მიზეზს წარმოადგენს საერთო ვალდებულებების შემცირება.

როგორც ცნობილია, ეკონომიკური ზრდის ინდიკატორებიდან, თავისი მნიშვნელობით ერთ-ერთი უპირატესია პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, რასაც წესით უნდა მოჰყვეს დასაქმების დონის ზრდა, თუმცა საქართველოში პირიქით ხდება - იზრდება უმუშევრობის დონე და სიღარიბე.

ეს ყველაფერი იმაზე მიუთითებს, რომ საქართველოში უნდა შემუშავდეს სწორი საინვესტიციო პოლიტიკა, რომლის თანახმად, სწორად უნდა შეირჩეს უცხოელი ინვესტორი და შესაბამისი ინვესტიცია, და არ უნდა ხდებოდეს ნებისმიერ პირობებზე დათანხმება. ეს კი ეკონომიკური უსაფრთხოების პრინციპებს ეწინააღმდეგება. საქართველოში დღევანდელი მდგომარეობა გამომწვეულია წარსულში დაშვებული შეცდომებიდან - ინვესტორებთან თავისუფალი დამოკიდებულება ინვესტორებს გრძელვადიან პერიოდში საფრთხეებს ქვეყნის განვითარებაში, რამდენადაც ჩვენს ქვეყანას გააჩნია დიდი პრობლემები, როგორც ტერიტორიული მთლიანობის, ისე მეზობელ ქვეყანათან დაძაბული პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიე-

რობის მიმართულებით. (1)

ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების თვალსაზრისით, ასევე საშიშია პრივატიზაციით შენიღბული ინვესტიციები, რასაც შეიძლება გამოუსწორებელი შედეგები მოჰყვეს. ჩვენი ქვეყანა დიდი საფრთხეების ქვეშ იმყოფება, ამიტომ სასტიკად აკრძალული უნდა იყოს მიწის გასხვისება, რომელიც წარმოადგენს ყველაზე სტრატეგიულ კაპიტალს. წინააღმდეგ შემთხვევაში საშიშია არაკეთილსინდისიერი ინვესტორების შემოჭრა ჩვენთან, რომელთაც შესაბამისი არასახარბიელო მიზნები ამოძრავებთ. (1)

სასურველია, ინვესტიციები მიმართული იყოს მთლიანად ქვეყნის რეალურ სექტორში და უნდა მოხდეს მოზიდული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სწორად გამოყენება და მისი შიდა საინვესტიციო ბაზართან შეთანხმება, რასაც შედეგად მოჰყვება ეკონომიკის განვითარება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ი. მესხია, საქართველოს ეკონომიკური განვითარების SWOT-ანალიზის ფრაგმენტები. სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე: „ეკონომიკისა და ბიზნესის თანამედროვე პრობლემები და განვითარების ტენდენციები. ქუთაისის უნივერსიტეტი, ქუთაისი, 2011 წ.
2. რაბესაძე, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დადებითი და უარყოფითი შედეგები. თბ. 2016.
3. გ. დიასამიძე. RMG GOLD-ის დარღვევები, რომლებსაც მალავდნენ. NETGAZETI, 2017 წ.
4. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური: <https://www.geostat.ge/ka>
5. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ვებ-გვერდი: <https://www.economy.ge/>
6. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდი <https://www.mof.ge/>
7. <https://forbes.ge/>
8. <https://geoeconomics.ge/>